პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 1949 წ. № 208 (8511). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

სწრაფად და უდანაკარგოდ ავილოთ შაქრის ჭარხალი—მოწინავე (1-ლი გვერდი).

თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი (1-ლი გვერდი).

ლ. ილიჩევი — ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი (მე-2 და მე-3 გვერდი).

უცხოეთის გაზეთების გამოხმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმებაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ვილჰელმ პიკისა და პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ოტო გროტევოლისადმი (მე-4 გვერდი).

## სწრაფად და უდანაკარგოდ ავილოთ შაქრის ჭარხალი

კარგ მოსავალს იღებენ წელს ჩვენი მეჭარხლეები. ლამქრობა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად საუკეთესოდ გვირგვინდება. კასპელი მეჭარხლის სოციალისტური შრომის გმირის სოფიო მარიდაშვილის რგოლი თვითეულ ჰექტარზე 1.000 ცენტნერზე მეტ ჭარხალს იღებს. კასპის რაიონის სოფელ მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედის" მერგოლურმა მ. პატარქალაშვილმა სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 750 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა. გორის რაიონის ქვემო ახალსოფლისა და ზედდულეთის კოლმეურნეობები ჰექტარზე საშუალოდ 500-600 ცენტნერ ჭარხალს იღებენ. ასეთი მაგალითები ბევრია. მეჭარხლეობის რაიონების ყველა მუშაკის ღირსების საქმეა სწრაფად, უდანაკარგოდ აილონ და დროულად გადაზიდონ შაქრის ჭარხალი. ბევრი კოლმეურნეობა ამ ამოცანას წარმატებით ასრულებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს ჭარხლის მოსავლის აღების გეგმა შესრულებული აქვთ 77,8 პროცენტით. კასპის რაიონის სოფელ საქადაგიანოს კოლმეურნეობა „შრომამ", ალაიანის კოლმეურნეობა „შრომამ", ლავრისხევისა და გუდალეთის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს შაქრის ჭარხლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმები.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჭარხლის ამოღების ტემპი არადამაკმაყოფილებელია. ზოგან ჭარხლის დროულად გადაზიდვის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. გრაფიკს არ იცავენ. ჭარხლის გადაზიდვის გრაფიკის დარღვევებს ვხვდებით კასპის, ხაშურისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. მეჭარხლეობის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შაქრის ჭარხლის გადაზიდვის გრაფიკის მტკიცედ დაცვას, გამოააშკარაონ შემაფერხებელი მიზეზები, ადგილზევე დაეხმარონ კოლმეურნეობებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში და უზრუნველყონ აგარის შაქრის ქარხანა ნედლეულით.

ჭარხლის შეუფერხებელი გადაზიდვისათვის მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ავტომანქანები და საჭაპანო ტრანსპორტი. სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს მეჭარხლეებს ავტოტრანსპორტით. მაგალითად, გორის რაიონში მუშაობს თბილისის ავტოკოლონა, რამაც დიდად შეუწყო ხელი გადაზიდვის დაჩქარებას. ჭარხლის მოსავლის სამი მეოთხედი გადაზიდულ უნდა იქნას ავტომანქანებით. ეს დიდი სამუშაოა. აუცილებელია ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სწრაფად მომუშავე მძღოლთა რიგების გასამრავლებლად, იმისათვის, რომ თვითეულმა ავტომანქანამ სრული დატვირთვით იმუშაოს, ალიკვეთოს მანქანების გაცდენა და ცარიელი გადარბენა.

„კომუნისტის" კორესპონდენტთა სიგნალები მოწმობენ, რომ ადგილი აქვს ჭარხლის დანაკარგს. ქარელის რაიონის სოფელ დირბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ჭარხალი გროვებად არის დაყრილი და მზისაგან დამჭკნარია. ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ჭარხლის წესიერად გასუფთავებას. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფელ ბრეძის კოლმეურნეობა „წითელ სხივში" ფოთლების წაჭრის დროს თან აყოლებენ ჭარხლის მნიშვნელოვან ნაწილს. ამავე რაიონის წითელსოფლის კოლმეურნეობიდან მიმღებ პუნქტში მიიტანეს დაუხარისხებელი, ბოლოებდაუჭრელი ჭარხალი. ჭარხლის წესიერი დასუფთავება დანაკარგებთან ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სისტემატურად უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს ჭარხლის მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში.

სერიოზული ყურადღების ღირსია ჭარხლის ამოღება მექანიზებული წესით. მტს-ებს საკმაოდ მოეპოვებათ ჭარხლის ამომღები საუკეთესო მანქანები. 1.000 ჰექტარი ჭარხალი აღებულ უნდა იქნას ამ მანქანებით. შარშან ჭარხლის მექანიზებული წესით აღების გეგმა არ შესრულებულა. აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ მეჭარხლეობის რაიონების მტს-ების მუშაკებმა და ამთავითვე იბრძოლონ მანქანების სრულად გამოყენებისა და სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის.

ახლა ჭარხლის ამოღების საუკეთესო ამინდია. შრომის სწორი ორგანიზაციით, ძალთა უნარიანად გამოყენებით გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ ჭარხლის ამოღებისა და გადაზიდვის ტემპი. საჭიროა, რათა ჭარხალი ამოთხრის დღესვე გადაიზიდოს მიმღებ პუნქტებში. ამასთანავე აუცილებელია თვითეული მიმღები პუნქტი შეუფერხებლივ მუშაობდეს და საუკეთესო მომსახურებას უწევდეს ჩამბარებლებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჭარხლის მოსავლის ცალკე რგოლების მიხედვით აღრიცხვას. ეს საჭიროა მოწინავეთა გამოსავლინებლად და შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონის ურყევად განხორციელებისათვის.

ჩვენი მეჭარხლეები დიდად დაინტერესებული არიან ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებით. მეჭარხლეებისათვის დაწესებულია შეღავათები. ჭარხლის ჩაბარებისათვის კოლმეურნენი სახელმწიფოსაგან იღებენ შაქარს და, გარდა ამისა, პრემია-წანამატს მოსავლიანობის დაწესებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს მძლავრი სტიმული უნდა გამოვიყენოთ კოლმეურნეთა დასარაზმავად ჭარხლის უდანაკარგოდ აღებისა და გადაზიდვისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგიტატორებმა ფართოდ უნდა განუმარტონ კოლმეურნეებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის შაქრის მეტი რაოდენობით მიღებას, გააცნონ მათ მოწინავე მეჭარხლეთა მუშაობის მეთოდები და ხერხები, დაეხმარონ ჩამორჩენილებს და ამით უზრუნველყონ საერთო აღმავლობა. კომუნისტები და კომკავშირელები ჭარხლის აღებისათვის ბრძოლის მოწინავე რიგებში უნდა იყვნენ.

სოფლად ფართოდ ჩაღდება საოქტომბრო შეჯიბრება. სოფლის მეურნეობის მშრომელები გამსჭვალული არიან ერთი აზრით — წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი, ახალი მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. ამ საყოველთაო სახალხო-შეჯიბრებაში ჩვენმა მეჭარხლეებმაც უნდა დაიჭირონ საპატიო ადგილი.

# თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამა წლის 17 ოქტომბერს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი და მშენებელი, დიდი სამამულო ომის სახელმოხვეჭილი გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი.**

**საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის დაკრძალვა მოხდება ქალაქ მოსკოვში, წითელ მოედანზე.**

## სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროსაგან

**სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 17 ოქტომბერს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი.**

**მარშალ თ. ი. ტოლბუხინის სახით სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს დიდი სამამულო ომის გამოჩენილი სარდალი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თვალსაჩინო მოღვაწე და ორგანიზატორი.**

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 17 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი.**

**საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდლის ამხანაგ ტოლბუხინის ხსოვნა მუდამ დარჩება საქართველოს მშრომელთა გულში.**

## ბრძანება

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

### № 91

**1949 წლის 19 ოქტომბერი** — **ქალაქი მოსკოვი**

დღეს, 19 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათსა და 30 წუთზე ქალაქ მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ **თ. ი. ტოლბუხინის** დაკრძალვა.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები თავიანთ საბრძოლო დროშებს ხრიან **თ. ი. ტოლბუხინის** ცხედრის წინაშე და პატივს სცემენ დიდი სამამულო ომის ერთ-ერთ გამოჩენილ სარდალსა და სახელმოხვეჭილ გმირს.

**ვბრძანებ:**

საბჭოთა კავშირის მარშალ **თ. ი. ტოლბუხინის** დაკრძალვის ჟამს განსვენებულს გაეწიოს უკანასკნელი სამხედრო პატივი და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მიცემულ იქნას საარტილერიო სალუტი.

**სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი**

## საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

საბჭოთა კავშირის მარშალ **თ. ი. ტოლბუხინის** ცხედარი დასვენებულ იქნება კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში.

განსვენებულ **თ. ი. ტოლბუხინთან** გამოთხოვება დაიწყება ამა წლის 18 ოქტომბერს დღის 3 საათიდან.



## თ. ი. ტოლბუხინი

ამა წლის 17 ოქტომბერს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი.

მარშალ **თ. ი. ტოლბუხინის** სახით საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების თვალსაჩინო მოღვაწე და მშენებელი, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა ლენინ-სტალინის საქმეს.

30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამხ. **თ. ი. ტოლბუხინი** ემსახურებოდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების განმტკიცების საქმეს და წარმოადგენდა სამშობლოს წინაშე მხედრული მოვალეობის უმწიკვლოდ შესრულების მაგალითს.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში ამხ. **თ. ი. ტოლბუხინი,** რომელსაც პასუხსაგები პოსტები ეკავა წითელ არმიაში, თავდადებით იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ამხ. **თ. ი. ტოლბუხინმა** დიდი ძალა და ენერგია მოახმარა საბჭოთა არმიის სრულყოფის საქმეს და დაძაბულად მუშაობდა თავისი სამხედრო ცოდნის გასამდიდრებლად.

დიდი სამამულო ომის წლებში მარშალმა **თ. ი. ტოლბუხინმა** თავი გამოიჩინა როგორც სტალინური სამხედრო სკოლის შესანიშნავმა სარდალმა.

სარდლობდა რა არმიას, ხოლო შემდეგ ფრონტს, იგი განსაკუთრებული უნარით და ნიჭით ასრულებდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებებსა და დავალებებს.

ჯარებმა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, გაიარეს საპატიო და ძნელი ბრძოლის გზა სტალინგრადიდან ავსტრიის ალპებამდე და მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სამშობლოს სამხედრო დიდების მატიანეში. იმ ჯარების საბრძოლო მოქმედება, რომლებსაც ამხ. თ. ი. ტოლბუხინი სარდლობდა, მრავალგზის აღინიშნა ამხანაგ სტალინის მადლობის ბრძანებებში.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. **თ. ი. ტოლბუხინი** სარდლობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს.

საბჭოთა მთავრობამ დიდად შეაფასა **თ. ი. ტოლბუხინის** სასახელო დამსახურება სამშობლოს წინაშე, იგი დაჯილდოებული იყო გამარჯვების ორდენით, ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის სამი ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორი ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი მედლით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები თავიანთ საბრძოლო დროშებს ხრიან ჩვენი სამშობლოს მამაცი პატრიოტის, საბჭოთა კავშირის მარშალ **თ. ი. ტოლბუხინის** ცხედრის წინაშე და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდად გლოვობენ მის უდროოდ გარდაცვალებას.

ამხ. **თ. ი. ტოლბუხინის** ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მეომართა გულში.

**ბულგანინი, ვოროშილოვი, ვასილევსკი, სოკოლოვსკი, შტემენკო, კონევი, გოვოროვი, ბუდიონი, როკოსოვსკი, მალინოვსკი, ჟუკოვი, ტიმოშენკო, მერეცკოვი, იაკოვლევი, იუმაშევი, ჟიგარევი, ხრულევი, კუზნეცოვი, გოლიკოვი, მალანდინი, მალინინი, ვორონოვი, ბოგდანოვი, ანტონოვი, ბაგრამიანი, ერემენკო, პეტროვი, პოპოვი, ზახაროვი, ჩუიკოვი, მასლენიკოვი, კურასოვი, ბირიუზოვი, არტემიევი, ნედელინი, სუსაიკოვი, ჟელტოვი, ტარასოვი.**

## წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი ყურძენი

**წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 103 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.**

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. მირიანაშვილი და მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მენთეშაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ცენტნერი ყურძენი.**

## გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.500 ცენტნერი ყურძენი

**გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 101,2 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.**

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. ყუჯიაშვილი და მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კეჩხუაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.500 ცენტნერი ყურძენი.**

## გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეულის დამზადების გეგმა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 103,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა სამინდე გამოსაღების ჩაუთვლელად.

სიმინდის დამზადება გრძელდება.

## ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეულის დამზადების გეგმა

ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებმა 102,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა სამინდე გამოსაღების ჩაუთვლელად.

მარცვლეულის დამზადება გრძელდება.

## გამბედაობის, სიმკვირცხლისა და სილამაზის ამსახველი სპორტი

### რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში

**გუშინ 1949 წლის პირველობისათვის ცხენოსნების რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე კვლავ მრავალმა ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე ცხენოსანთა 12 უძლიერესი გუნდის დაძაბული ბრძოლა ლ. პ. ბერიას სახელობის თასის მოსაპოვებლად.**

**ამ დღეს შეჯიბრება მრავალფეროვანი და სპორტულად საინტერესო იყო. პირველი შეჯიბრება დაიწყო ყაბახში. ეს ეროვნული სპორტის ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო სახეა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ყველა რაიონის გუნდი, გუნდის შემადგენლობიდან სამ-სამი მხედარი. ყველაზე კარგი მაჩვენებელი მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა ქურდულიამ. მეორე ადგილზე გამოვიდა გურჯაანელი მინდორაშვილი, ხოლო მესამე ადგილი ერგო ფოთელ ჩაჩავას.**

**ყაბახის შემდეგ გაიმართა შეჯიბრება ოლიმპიური წესით ისინდში. ერთმანეთს შეხვდნენ ხობისა და გურჯაანის ცხენოსნები. გაიმარჯვა ხობის გუნდმა.**

**ცხენოსნობის უმაღლესი კლასი უჩვენა სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" მწრთვნელმა ცნობილმა მხედარმა ი. როგემ, რომელიც მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.**

**ცხოველი ინტერესით ჩატარდა ამ დღეს საკოლმეურნეო გუნდების მხედართა შეჯიბრება დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში (მსუბუქი კლასი). მონაწილეობდა შეჯიბრებაზე დაშვებული ყველა გუნდის წარმომადგენელი ოთხ-ოთხი მხედარი, სულ 48 ცხენოსანი. შეჯიბრების წესი ასეთია: თვითეულმა მხედარმა უნდა გადალახოს 8 დაბრკოლება 10 ნახტომით. პირად პირველობაზე ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და პირველი ადგილი აილო დ. ოთხოზორიამ (ცხაკაია). მან ყველა დაბრკოლება გადალახა 57 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა წალენჯიხელი ა. კვარაცხელია (1 წუთი), მესამე ადგილზე—ზუგდიდელი ვ. ხარებავა (1 წუთი და 2 წამი). გუნდურ პირველობაზე შეჯიბრებაში ცხენოსნობის ამ სახეობაში პირველი ადგილი მიეკუთვნა ცხაკაიას გუნდს, მეორე—ზუგდიდს, მესამე—ფოთს, მეოთხე ადგილზე გამოვიდა წალენჯიხის გუნდი.**

**გუშინ ხევსურმა მხედრებმა მაყურებლებს კვლავ უჩვენეს დოღი. მათი ცხენები ამჟამად დაიძრნენ იპოდრომის ჩრდილოეთ მთებზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა ხევსური ქალი მაია სისაური. მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებენ ხევსურ მხედრებს.**

**გუშინ დამთავრდა გუნდებს შორის ოლიმპიური წესით შეჯიბრება ისინდში და დაიწყო გამარჯვებულთა (ზუგდიდი, ფოთი, ხობი, გუდაუთა) შეჯიბრება წრეობრივი სისტემით. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ხობისა და გუდაუთის გუნდები. გაიმარჯვა გუდაუთის გუნდმა. დიდი ინტერესით ითამაშეს აგრეთვე ისინდი და საუკეთესო სპორტული მიღწევები გამოამჟღავნეს ზუგდიდისა და ფოთის გუნდებმა. გაიმარჯვეს ზუგდიდელებმა.**

**დამსწრეთა საუკეთესო მოწონება დაიმსახურეს ჩოგანბურთის მოთამაშე გუნდებმა. თამაშობდნენ სიღნაღისა და წალენჯიხის გუნდები. გაიმარჯვეს წალენჯიხელებმა.**

**ამ დღეს მოეწყო აგრეთვე სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" მხედართა საჩვენებელი ჯირითი. სპორტსაზოგადოება „დინამოს" მწრთვნელის მილიციის მაიორის ა. გვერდწითელის ხელმძღვანელობით გაიმართა აგრეთვე ცხენოსანთა საჩვენებელი თამაში.**

* * *

**დღეს, 19 ოქტომბერს შეჯიბრება გაიმართება შემდეგი პროგრამით—ჩოგანბურთი (სპორტსაზოგადოება „სპარტაკისა" და „დინამოს" გუნდები), ისინდი (ითამაშებენ გუდაუთა-ფოთი, ხობი-ზუგდიდი და ფოთი-ხობი), სარეკორდო ხტომა სიმაღლესა და სიგრძეზე, დაბრკოლებათა გადალახვა (რთული კლასი) და წარმოდგენილი იქნება აგრეთვე უძველესი ცხენოსნური თამაში რადაბრაგანი.**

**20 ოქტომბერს, შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ნაჩვენები იქნება ისინდი (გუდაუთა-ზუგდიდი), ჯირითობა, ჩოგანბურთი, თარჩია (ცხენოსნური თამაში), დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებულთა გამოსვლა, ხევსურთა დოღი, დოღი 2 და 3 კილომეტრზე და მარულა 8 კილომეტრზე.**

**ამ დღეს მოეწყობა აგრეთვე საბოლოო შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.**

# ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომში შესულია 1929 წლის აპრილიდან 1930 წლის ივნისამდე დაწერილი ნაწარმოებები. 1929 წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევიდა, როგორც სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე დიადი გარდატეხის წელი, [illegible] სახალხო მეურნეობის მზარდი აღმავლობის სურათს. წარმატებით ხორციელდებოდა პირველი სტალინური ხუთწლიანი გეგმა, სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლად ჩაღდებოდა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა.

1930 წლის ივნისში ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობისადმი ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყანა უკვე შევიდა სოციალიზმის პერიოდში. ბოლშევიკური პარტიის მიერ, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის მიერ აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი წარმატებით ასრულებდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შემქმნელის ისტორიულ როლს.

კლასიკურ ნაშრომში „დიადი გარდატეხის წელი“, რომელიც ოქტომბრის მე-12 წლისთავის დღეს გამოქვეყნდა, ამხანაგი სტალინი წერდა:

„ჩვენ მთელი სისწრაფით მივექანებით ინდუსტრიალიზაციის გზით— სოციალიზმისაკენ და უკან ვტოვებთ ჩვენს საუკუნეობრივ „რუსეთულ“ ჩამორჩენილობას.

ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად, ტრაქტორიზაციის ქვეყნად.

და როდესაც საბჭოთა კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს — ტრაქტორზე, მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები, რომლებსაც თავი მოაქვთ თავისი „ცივილიზაციით“. ჩვენ კიდევ ვნახავთ, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება „განისაზღვროს“ მაშინ ჩამორჩენილად და რომელი მოწინავედ“. (ი. სტალინი. თხზულებანი, ტომი 12, გვ. 135).

სულ ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწერა ეს წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც გამსჭვალულია მუშათა კლასის ძალებისადმი უდიდესი რწმენით. დიდი და სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა სამშობლომ. ლენინ-სტალინის პარტიის ნებით იგი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ყველაზე მოწინავე კულტურა. საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული შრომით და გმირული სამხედრო საქმეებით დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა და იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობის საშინელი საფრთხისაგან.

პარტიის XVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა თქვა: „...საბჭოთა ხელისუფლება ახლა მსოფლიოში არსებულ ყველა ხელისუფლებათაგან ყველაზე მტკიცე ხელისუფლებაა“. სტალინური ხუთწლედების განხორციელების, სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების, ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის შედეგად საბჭოთა სახელმწიფო უფრო მეტად განმტკიცდა და ახლა მსოფლიოს ყველაზე დარაზმული და მძლავრი სახელმწიფოა.

სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფო, მისი აყვავება, მისი განვითარების გზა აღმაფრთოვანებელი მაგალითია მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საქმის მებრძოლთათვის.

თავის შრომებში ამხანაგმა სტალინმა პასუხი გასცა ახალ ისტორიულ ვითარებაში წარმოშობილ კითხვებზე. ამხანაგ სტალინის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხების შემოქმედებითმა დამუშავებამ გიგანტური პროჟექტორივით გაანათა საბჭოთა საზოგადოების მთელი შემდგომი გზა და უზრუნველყო პარტიის მიერ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული ამოცანების სწორად გადაწყვეტა.

## I

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებნი, რომელიც მეთორმეტე ტომშია შესული, ცხადყოფენ, თუ ჭეშმარიტად რა ტიტანური მუშაობა უნდა შეესრულებინა ჩვენს პარტიას, რომ ურთულეს საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, ტროცკისტ-ბუხარინელი კაპიტულანტებისა და გამცემების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში დაერაზმა ხალხის უფართოესი მასები პარტიის გენერალური ხაზის განსახორციელებლად და მოეწყო სოციალიზმის ძლევამოსილი შეტევა მთელ ფრონტზე.

ამხანაგ სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომმა განვითარებამ, მისმა ბრძნულმა და შორსმჭვრეტელმა ხელმძღვანელობამ, მისმა რკინისებურმა, ყოვლისმძლე ნებისყოფამ, მისმა პრინციპულობამ და შეურიგებლობამ ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში განსაზღვრეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიული მობრუნების წარმატება.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინური პროგრამა, რომელიც პარტიის XIV ყრილობამ მიიღო, ძლევამოსილად ხორციელდებოდა. საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებდა პირველი ხუთწლედის ისტორიულ ამოცანას — ჩვენი ქვეყნის გადაქცევას აგრარულიდან ინდუსტრიულად. მწყობრში დგებოდნენ ახალი სამრეწველო საწარმოები, სოციალისტური ინდუსტრიის პირველი გიგანტები. ჩვენი მრეწველობა მზარდი მასშტაბით ამარაგებდა სოფელს ახალი, უფრო გაუმჯობესებული მანქანებით, რითაც მტკიცე ბაზას უქმნიდა ქალაქისა და სოფლის საწარმოო კავშირს. ძირითადად გადაწყდა დაგროვების პრობლემა.

შეაფასა რა ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი, ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVI ყრილობაზე განაცხადა, რომ სსრ კავშირი იმყოფება აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის წინაშე. საკითხი „ვინ ვის“, საკითხი იმის შესახებ—სოციალიზმი დაამარცხებს კაპიტალიზმის ელემენტებს მრეწველობაში, თუ ისინი დაამარცხებენ სოციალიზმს, — გადაწყვეტილი იყო მრეწველობის სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ, გადაწყვეტილი იყო საბოლოოდ და სამუდამოდ. კაპიტალისტური ელემენტები კი ჩაიძირნენ.

ამხანაგმა სტალინმა ამხილა ტროცკისტ-ბუხარინელ გამცემთა ცდები ჩაეშალათ სოციალისტური მრეწველობის განვითარება და მოუწოდა პარტიას შეუპოვარი ბრძოლისაკენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შემდგომი დაჩქარებისათვის. ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა ურალზე ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზის დაუყოვნებლივი მშენებლობის ამოცანა. სტალინური გეგმით შექმნილმა ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე მძლავრმა ბაზამ უდიდესი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის წლებში.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა შექმნეს ინდუსტრიული ბაზა მანქანებითა და ტრაქტორებით სოფლის მომარაგებისათვის, სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, კოლექტივიზაციის გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე ლენინი და სტალინი ოსტატურად განსაზღვრავდნენ მთავარ რგოლს ბოლშევიკური პარტიის საქმიანობაში.

„ჩვენი პარტიის პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება ის არის,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—რომ მას შეუძლია ყოველ მოცემულ მომენტში აირჩიოს მოძრაობის **ძირითადი რგოლი**, რომლისთვისაც ხელის ჩაკიდებით იგი შემდეგ ეწევა მთელ ჯაჭვს ერთი საერთო მიზნისაკენ იმისათვის, რომ მიაღწიოს ამოცანის გადაწყვეტას“. (გვ. 195).

1929-1930 წლებში სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი რგოლი იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

პარტიის გიგანტური მუშაობა სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად დაკავშირებულია სსრ კავშირში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან, ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით, შეიმუშავა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია, ამ თეორიით შეაიარაღა პარტია და საბჭოთა ხალხი. ჩვენმა პარტიამ, ხელმძღვანელობდა რა ამ სტალინური თეორიით, გადაწყვიტა ხელისუფლების მოპოვების შემდეგ უძნელესი ისტორიული ამოცანა პროლეტარული რევოლუციისა — მილიონობით ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა დააყენა კოლმეურნეობათა გზაზე, სოციალიზმის გზაზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის პარტიის ბრძოლაში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი სტალინურმა შორსმჭვრეტელობამ, ბრძნულმა სტრატეგიამ, პოლიტიკური ლოზუნგების სიზუსტემ და სიცხადემ, პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უბადლო ოსტატობამ.

სიტყვაში „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ)-ში“, რომელიც პირველად ქვეყნდება ამ ტომში მთლიანად, აგრეთვე ნაწარმოებებში „დიადი გარდატეხის წელი“, „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“, „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის“, „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“, „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობას“ ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ დაასაბუთა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა. შემოქმედებითი მარქსიზმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის სიტყვა აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე. მასში ამხანაგმა სტალინმა ამხილა და გაანადგურა სოციალისტურ მშენებლობაში „წონასწორობის“, „თვითდინების“, წვრილი გლეხური მეურნეობის „სიმტკიცის“ ბურჟუაზიული, მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიები, რომლებიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წესების დასაცავად. ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა კოლმეურნეობათა ბუნება, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმა, და გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია ანტიპარტიული ელემენტების ცდას ჩაეშალათ კოლმეურნეობები. ამხანაგ სტალინის გენიალურმა ნაშრომმა თეორიულად შეაიარაღა ჩვენი პარტია პოლიტიკაში მკვეთრი მობრუნების პერიოდში, როცა დღის წესრიგში დასმული იყო კულაკობის—სსრ კავშირში უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის ლიკვიდაციის ამოცანა.

1929 წელი დიადი გარდატეხის წელი იყო საკოლმეურნეო მოძრაობაში. მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა ამსხვრევდა ტროცკიზმის მენშევიკურ „კონცეფციას“ იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს უნარი არ შესწევს გაიყოლიოს გლეხობის ძირითადი მასები სოციალიზმის გზით. საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებანი აცამტვერებდნენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა უკანასკნელ იმედს, რომლებიც ოცნებობდნენ სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენაზე. სოფლის მეურნეობის განვითარებაში ძირეული გარდატეხის საფუძველი ის იყო, რომ კოლმეურნეობებში შევიდნენ საშუალო გლეხები. მშრომელი გლეხობა გაჰყვა პარტიას, მუშათა კლასს, მან დატოვა „კერძო საკუთრების“ ნაქები დროშა და დადგა კოლექტივიზაციის რელსებზე, სოციალიზმის რელსებზე. მტკიცდებოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი.

ჩვენმა პარტიამ მოახდინა მკვეთრი მობრუნება კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან ახალი პოლიტიკისაკენ, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. პროლეტარული რევოლუციის დიდმა სტრატეგმა ამხანაგმა სტალინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის საუკეთესო მომენტი, მას გაბედულად და მტკიცედ მიჰყავდა პარტია წინ, უჩვენებდა მას გზას დასახული მიზნის მიღწევისაკენ.

„კულაკობაზე შეტევა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — სერიოზული საქმეა. არ შეიძლება მისი არევა დეკლამაციაში კულაკობის წინააღმდეგ. არ შეიძლება მისი არევა აგრეთვე კულაკობის კაწვრის პოლიტიკაში, რომელსაც დაჟინებით ახვევდა თავს პარტიას ზინოვიევურ-ტროცკისტული ოპოზიცია. შეტევა კულაკობაზე ნიშნავს გასტეხო კულაკობა და მოსპო იგი, როგორც კლასი. ამ მიზნების გარეშე შეტევა არის დეკლამაცია, კაწვრა, სიტყვების რახარუხი, ყველაფერი რაც გნებავთ, მხოლოდ არა ნამდვილი ბოლშევიკური შეტევა. შეტევა კულაკობაზე ნიშნავს მოემზადო საქმისათვის და დაჰკრა კულაკობას, მაგრამ დაჰკრა ისე, რომ მის შემდეგ ფეხზე ველარ წამოდგეს. სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ, ბოლშევიკები, ნამდვილ შეტევას“ (გვ. 167-168).

პარტიამ ძლევამოსილად გაჩაღა ბოლშევიკური შეტევა კულაკობის კლასის — ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასის, კაპიტალიზმის რესტავრაციის დასაყრდენის წინააღმდეგ, და სოფლის მეურნეობა გამოიყვანა სოციალიზმის გზაზე.

მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა, როგორც ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, ხდებოდა არა კოლმეურნეთა ძირითადი მასების კოლმეურნეობებში უბრალო და მშვიდობიანი შესვლის წესით, არამედ კულაკობის წინააღმდეგ გლეხთა მასობრივი ბრძოლის წესით.

„...საკოლმეურნეო მოძრაობა, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — რომელმაც მძლავრი, მზარდი **ანტიკულაკური** ნიაღვრის ხასიათი მიიღო, სპობს თავის გზაზე კულაკობის წინააღმდეგობას, ამსხვრევს კულაკობას და გზას კაფავს სოფლად ფართო სოციალისტური მშენებლობისათვის“ (გვ. 141).

კულაკობის წინააღმდეგ შეტევაში აღმაფრთოვანებელი და მაორგანიზებელი ძალა იყო კომუნისტური პარტია. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ გაანადგურა მემარჯვენე კაპიტულანტები, რომლებიც აშკარად გამოდიოდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოციალიზმი სოფლად ვერ გაიმარჯვებდა, რომ პარტიას არ გაენადგურებინა მემარჯვენე ოპორტუნისტები, ისევე როგორც შეუძლებელი იქნებოდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება კაპიტულანტებისა და შტრაიკბრეხერების, მენშევიკებისა და ესერების გაუნადგურებლად.

ანადგურებდა რა ულმობლად მემარჯვენე ოპორტუნიზმს, რომელიც მაშინ მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა, პარტია ამასთან ერთად დაუნდობლად იბრძოდა „მემარცხენე“ გადამხვევების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაეღუპათ საკოლმეურნეო მოძრაობა, წაეჩხუბებინათ პარტია გლეხობასთან. ნაწარმოებებში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“, რომლებსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ, ამხანაგმა სტალინმა დროზე აღნიშნა მოახლოებული საფრთხე, დარაზმა პარტია და საბჭოთა ხალხი საკოლმეურნეო მშენებლობაში გადახვევების და დამახინჯებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ სტალინურ ნაწარმოებებში მოცემული იყო საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი პრინციპები, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ურყევ საფუძველს წარმოადგენს კოლმეურნეობათა აშენებისას ნებაყოფლობის ლენინური პრინციპი. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლია სასოფლო-სამეურნეო არტელი, როგორც ყველაზე სწორი და გლეხებისათვის გასაგები ფორმა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შევახამოთ კოლმეურნეთა პირადი ინტერესები მათ საზოგადოებრივ ინტერესებთან, კოლმეურნეთა პირადი ინტერესები შევუგუოთ საზოგადოებრივ ინტერესებს.

მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, უდიდესი რევოლუციური გადატრიალება იყო, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარ რევოლუციურ გადატრიალებას უდრიდა. როგორც ცნობილია, ამ გადატრიალების თავისებურება ის იყო, რომ იგი მოხდა ზემოდან, საბჭოთა სახელმწიფოს ინიციატივით, ქვემოდან გლეხობის მილიონიანი მასების უაღრესად ფართო მხარდაჭერით.

კოლმეურნეობებისაკენ გლეხობის ძირეულ მობრუნებას მოჰყვა უდიდესი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში. თავის მოხსენებაში XVI ყრილობაზე, ე. ი. მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებიდან ერთ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ, ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა ამ ცვლილების დამახასიათებელი მკაფიო მაჩვენებლები. 1927 წელს კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი შეადგენდა სულ 0,8 მილიონ ჰექტარს, 1930 წელს იგი უკვე შეადგენდა სულ მცირე 36 მილიონ ჰექტარს. ამრიგად, სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი 40-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის მთელი სასაქონლო პროდუქციის ნახევარზე მეტს უკვე კოლმეურნეობები იძლეოდნენ. ამით შეიქმნა მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტის მატერიალური პირობები. შეიქმნა სოციალისტური ბაზა სახალხო მეურნეობის ყველაზე ვრცელ და არსებითად საჭირო, მაგრამ ამავე დროს ყველაზე ჩამორჩენილ დარგში—სოფლის მეურნეობაში.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის ტრიუმფია. ჯერ კიდევ საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი სტალინი წერდა, რომ ახალგაზრდა მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას „დიდი მომავალი აქვს, რომ იგი ზრდის სასწაულებს გვიჩვენებს“ (გვ. 126). ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ამხანაგ სტალინის გენიალური განჭვრეტა. საკოლმეურნეო წყობილების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, მისი უპირატესობანი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდნენ დიდი სამამულო ომის მკაცრი განსაცდელის წლებში, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის პერიოდში.

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას უდიდესი **საერთაშორისო** მნიშვნელობა აქვს. ყველა ქვეყანა, რომელიც სოციალისტური მშენებლობის გზას ადგება, საბჭოთა კავშირის მაგალითზე სწავლობს სწორად გადაწყვიტოს პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი უძნელესი საკითხი — გლეხთა საკითხი, სოციალიზმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ამოცანები.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა, ფასდაუდებელი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის უმნიშვნელოვანესი თავია.

## II

ლენინ-სტალინის პარტია — საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი პარტია—მშრომელთა აღმაფრთოვანებელი და ორგანიზატორი იყო სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გზების შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების საფუძველზე ჩვენი პარტია სათავეში ჩაუდგა უმაგალითო მასშტაბის აღმშენებლობითს მუშაობას, მოაწყო სოციალიზმის გაშლილი შეტევა მთელ ფრონტზე.

ამხანაგი სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა:

„XIV ყრილობა, უმთავრესად, **ინდუსტრიალიზაციის** ყრილობა იყო.

XV ყრილობა, უმთავრესად, **კოლექტივიზაციის** ყრილობა იყო.

ეს იყო მზადება **საერთო** შეტევისათვის.

განვლილი ეტაპებისაგან განსხვავებით XVI ყრილობის წინაპერიოდი წარმოადგენს **მთელ ფრონტზე** სოციალიზმის **საერთო** შეტევის პერიოდს, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში სოციალიზმის გაძლიერებული მშენებლობის პერიოდს.

XVI ყრილობა არის სოციალიზმის **მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის**, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა.

აი ორი სიტყვით ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დედაარსი“ (გვ. 342).

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებნი, რომლებიც თხზულებათა მეთორმეტე ტომშია შესული, ცხადყოფენ, თუ რა თანმიმდევრულად ახორციელებდა პარტია თავის გენერალურ ხაზს, რომელიც გამომდინარეობდა ჩვენი ქვეყნის განვითარების მომწიფებული მოთხოვნებიდან და გამოხატავდა მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. ამხანაგმა სტალინმა პარტია შეაიარაღა სოციალიზმის მშენებლობის გენიალური გეგმით, ბრძნულად ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს საქმიანობას.

მაგრამ პარტია არ სჯერდებოდა მარტო გენერალური ხაზის შემუშავებას, არამედ დღითიდღე ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, ებრძოდა გენერალური ხაზიდან გადახვევებს და მათთან შემარიგებლობას, რითაც განახორციელებდა „ლენინიზმს პრაქტიკულად, ლენინიზმს ხელმძღვანელობაში“ (გვ. 358). აჩაღებდა რა ბოლშევიკურ შეტევას, პარტია მომზადებული იყო მისთვის თეორიულად, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად.

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ცხადყო ბოლშევიკური შეტევის არსი, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალიზმის გამარჯვებას.

ბოლშევიკური შეტევის არსი, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ გააძლიეროს მასების კლასობრივი სიფხიზლე და რევოლუციური აქტივობა, გააძლიეროს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და თვითშემოქმედება, მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება და მასების შრომითი აღმავლობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სოციალისტური მშენებლობის გაჩაღებისათვის.

ბოლშევიკური შეტევის არსი ის არის, რომ მოაწყოს პროფკავშირული, კოოპერაციული, საბჭოთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული მუშაობის გარდაქმნა რეკონსტრუქციული პერიოდის მოთხოვნების შესაბამისად, შექმნას მათში ბირთვი ყველაზე აქტიური და რევოლუციური მუშაკებისაგან, უკუაგდოს და იზოლაცია უყოს ოპორტუნისტულ, ტრედუნიონისტულ, ბიუროკრატიულ ელემენტებს, გააძევოს ამ ორგანიზაციებიდან უცხო და გადაგვარებული ელემენტები და ქვემოდან წამოსწიოს ახალი მუშაკები.

ბოლშევიკური შეტევის არსი ის არის, რომ თავი მოუყაროს სახსრების მაქსიმუმს მრეწველობის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დასაფინანსებლად და სახალხო მეურნეობის გაჩაღების საქმეზე გაგზავნოს პარტიის საუკეთესო ადამიანები.

ბოლოს, ბოლშევიკური შეტევის არსი ის არის, რომ დარაზმოს თვით პარტია შეტევის მთელი საქმის მოსაწყობად, განამტკიცოს და გაწმინდოს პარტიული ორგანიზაციები, განდევნოს იქიდან ბიუროკრატიზმისა და გადაგვარების ელემენტები, გათიშოს და უკუაგდოს ლენინური ხაზიდან მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების გამომხატველნი, პირველ პლანზე წამოსწიოს ნამდვილი, მტკიცე ლენინელები.

ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით შეიარაღებულმა ბოლშევიკურმა პარტიამ ბრწყინვალედ მოაწყო გაშლილი სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე და მიაღწია სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო პარტიის რიგებში კულაკობის აგენტურის — მემარჯვენე ოპორტუნისტების მხილება და განადგურება, რომლებმაც ნიღაბი ჩამოიხსნეს და გააფთრებით შეუტიეს ბოლშევიკურ პარტიას და მის გენერალურ ხაზს. ბუხარინელ-რიკოველი მოღალატეები, რომლებიც შეუერთდნენ ტროცკისტ-ზინოვიეველ მოღალატეთა დამსხვრეული ბანდის ნაშთებს, გამოვიდნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელების წინააღმდეგ, ცდილობდნენ ჩვენი პარტიისათვის თავს მოეხვიათ კაპიტალიზმის რესტავრაციის პროგრამა. მათი პროგრამა მოასწავებდა მუშათა კლასის ინტერესების, რევოლუციის ინტერესების ღალატს.

იმ პერიოდში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანა იყო.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გაანადგურა მემარჯვენე გადახრა. პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთებს, რომელიც გადაიქცა ანტიპროლეტარულ, ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ჯგუფად, რომელიც გულმოდგინედ ატყობინებს ბურჟუაზიას ჩვენი პარტიის საქმეებს. მემარჯვენეებისა და ტროცკისტების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შეჯამებისას ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში XVI ყრილობაზე მოუწოდა პარტიას კვლავაც განეგრძო შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე, როგორც მემარჯვენეების, ისე ტროცკისტების, აგრეთვე შემრიგებელი ელემენტების წინააღმდეგ.

ლენინური ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში განმტკიცდა ჩვენი პარტიის ერთიანობა. გაიზარდა საბჭოთა ხალხის სიფხიზლე და ბრძოლისუნარიანობა, რომელიც უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

ჩვენი პარტიის [illegible] ბის შემდგომი გაძლიერებისა და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის მითითებებს ეროვნულ საკითხში გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის გაუნადგურებლად, რომელიც პარტიაში მთავარი საფრთხე იყო ეროვნულ საკითხში, და ადგილობრივი ნაციონალიზმის გაუნადგურებლად შეუძლებელი იყო მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების უზრუნველყოფა.

ბოლშევიკური შეტევის სტალინური გეგმის განხორციელებისას პარტიამ გააჩაღა ფართო თვითკრიტიკა „თავიდან ბოლომდე“, მშრომელი მასების ყურადღება მიაპყრო ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებათა გამოვლინებას და აღკვეთას. ა. მ. გორკისადმი წერილში, რომელიც პირველად ქვეყნდება მეთორმეტე ტომში, ამხანაგი სტალინი წერდა:

„ჩვენ არ შეგვიძლია უთვითკრიტიკოდ. არას გზით არ შეგვიძლია, ალექსი მაქსიმეს-ძევ. უმისოდ გარდუვალია აპარატის გაყინვა, გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობისათვის ძირის გამოთხრა. რასაკვირველია, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს. ამაში თქვენ სავსებით მართალი ხართ. მაგრამ იგივე იძლევა მასალას (და ბიძგს) ჩვენი წინსვლისათვის, მშრომელთა მშენებლობის ენერგიის გაშლისათვის, შეჯიბრების განვითარებისათვის, დამკვრელი ბრიგადებისათვის და სხვ. უარყოფით მხარეს ფარავს და გადაჭარბებითაც ფარავს დადებითი“ (გვ. 173).

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ არ შეიძლება გავაუმჯობესოთ ჩვენი სამეურნეო, პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციები, არ შეიძლება წინ წავწიოთ სოციალიზმის მშენებლობის საქმე, თუ მთელი ძალით არ გავაჩაღებთ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, თუ მასების კონტროლს არ დავაწესებთ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობისადმი.

ბოლშევიკური შეტევის წარმატების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იყო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაახასიათა, როგორც სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი, მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე. შეჯიბრებაში ამხანაგი სტალინი ხედავდა „მასების საქმიანი, რევოლუციური **თვითკრიტიკის** გამოხატულებას, თვითკრიტიკისა, რომელიც ემყარება მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს **ინიციატივას**“ (გვ. 109-110).

ხელმძღვანელობდა რა ამხანაგ სტალინის მითითებებით სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობის შესახებ, პარტიამ გაშალა მასების უმაგალითო შემოქმედებითი ინიციატივა სოციალიზმისათვის ბრძოლაში. 1930 წელს ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური შეჯიბრება უკვე მაშინ იყო „ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი თუ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი არა“ (გვ. 314). ჩვენს დროს სოციალისტური შეჯიბრება საყოველთაო-სახალხო გახდა და კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

იმ პერიოდში, როცა პარტია ახორციელებდა გაშლილ შეტევას მთელ ფრონტზე, ახალი კადრების მომზადების პრობლემა, კადრებისა, რომლებსაც უნარი ექნებოდათ დაეუფლებოდნენ ახალ ტექნიკას, ჭეშმარიტად უაღრესად აქტუალური პრობლემა გახდა. პარტიის ამოცანაა, ამბობდა ამხანაგი სტალინი, — „უშუალოდ მოკიდოს ხელი კადრების პრობლემას, და დაეუფლოს ამ ციხე-სიმაგრეს, რადაც უნდა დაუჯდეს“ (გვ. 124).

ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე პარტია ჰქმნიდა, მზრუნველობით ზრდიდა კადრებს, აწრთობდა მათ გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში. ამხანაგი სტალინი ასწავლის ჩვენს კადრებს დაძლიონ სიძნელეები და არ დაიხიონ მათ წინაშე, არ დათმონ პოზიციები. ცნობილია მამაცი მებრძოლების შესანიშნავი სტალინური დახასიათება და მოწუწუნე პანიკიორების გამანადგურებელი კრიტიკა, რომელიც მოცემულია მოახლოვებული ქარიშხლის წინაშე მეთევზეთა საქციელის მხატვრულ სურათში:

„გინახავთ თუ არა თქვენ მეთევზეები ქარიშხლის წინ დიდ მდინარეზე, როგორიცაა არის ენისეი? მე ისინი ბევრჯერ მინახავს. არის ხოლმე რომ მეთევზეების ერთი ჯგუფი, როდესაც ამოვარდება ქარიშხალი, კრებს მთელ თავის ძალებს, ამხნევებს თავის ხალხს, და გაბედულად მიჰყავს ხალხი ქარიშხალთან შესახვედრად: „მხნედ იყავით ბიჭებო, მაგ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი

(დასასრული)

რად ჩასჭიდეთ ხელი საჭეს, გასჭერით ტალღები, ჩვენ გავიმარჯვებთ!"

მაგრამ არიან სხვა ჯურის მეთევზეებიც, რომლებიც როცა გრძნობენ ქარიშხლის მოახლოებას, სულით ეცემიან, იწყებენ წუწუნს და დემორალიზაცია შეაქვთ საკუთარ რიგებში: „უბედურება გვეწია, ქარიშხალი ამოვარდა, დაწექით, ბიჭებო, ნავის ფსკერზე, დახუჭეთ თვალები, იქნება როგორმე ნაპირზე გაგვრიყოს" (გვ. 17-18).

პარტიის უდიდესმა მუშაობამ საბჭოთა სპეციალისტების მოსამზადებლად მუშათა კლასის ადამიანებიდან კადრების აღსაზრდელად, თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩვენს ქვეყანას ყავს ისეთი კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რომელთაც უნარი შესწევთ დაძლიონ ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე, რომელთაც უნარი შესწევთ აიღონ ყოველგვარი ციხე-სიმაგრე.

იმ პერიოდში, როცა სოციალიზმის ბედი წყდებოდა, ჩვენი პარტია ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით იმარჯვებდა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მან შეამჭიდროვა თავისი რიგები, განუხრელად ახორციელებდა პრინციპულ პოლიტიკას, მაღლა ეჭირა ლენინის დიადი დროშა.

## III

მეთორმეტე ტომში მოთავსებულ ნაწარმოებებში ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კლასობრივი ბრძოლის შესახებ, სახელმწიფოს შესახებ და სოციალიზმის მშენებლობაში მისი როლის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ბუხარინელი კაპიტულანტები, რომლებიც ცდილობდნენ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია შეეცვალათ კლასობრივი ბრძოლის „ქრობის", სოციალიზმში კაპიტალისტების „მშვიდობიანი შეზრდის" დამპალი თეორიით. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ კლასების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ შეუპოვარი კლასობრივი ბრძოლის გზით, რაც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში უფრო გაფთრებული ხდება.

„ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ მომაკვდავ კლასებს ნებაყოფლობით დაეტოვებინოთ ასპარეზი. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მომაკვდავ ბურჟუაზიას თავისი ძალების ყველა ნაშთი არ გამოეყენებინოს თავისი არსებობის შესანარჩუნებლად" (გვ. 37).

ამხანაგი სტალინი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზთა ღრმა ანალიზის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისათვის, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ:

„მომაკვდავი კლასები წინააღმდეგობას გვიწევენ არა იმიტომ, რომ ჩვენზე უფრო ძლიერი გახდნენ, არამედ იმიტომ, რომ სოციალიზმი მათზე უფრო სწრაფად იზრდება და ისინი ჩვენზე უფრო სუსტნი ხდებიან. და სწორედ იმიტომ, რომ ისინი უფრო სუსტი ხდებიან, ისინი გრძნობენ თავიანთი არსებობის უკანასკნელ დღეებს და იძულებული არიან მთელი ძალღონით, ყოველგვარი საშუალებით გაგვიწიონ წინააღმდეგობა" (გვ. 38).

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელია იმისათვის, რომ დავთრგუნოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, მუშათა კლასის გარშემო დავრაზმოთ ყველა მშრომელნი, მოვაწყოთ სოციალიზმის მშენებლობა, უზრუნველვყოთ საბჭოთა ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან.

განავითარა რა ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ბუხარინელთა ანტილენინურ შეხედულებებს, რომლებიც არსებითად უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას. ნაშრომში „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)" ნაჩვენებია, რომ ბუხარინელი თვალთმაქცნი მთელი რიგი წლების მანძილზე იბრძოდნენ სახელმწიფოს შესახებ ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1916 წელს ლენინმა მკვეთრად გააკრიტიკა ბუხარინის ანარქისტული პოზიცია სახელმწიფოს საკითხში, ამხილა სახელმწიფოს „აფეთქების" შესახებ, ყოველგვარი სახელმწიფოსადმი მუშათა კლასის ვითომდა პრინციპულად მტრული დამოკიდებულების შესახებ მის მტკიცებათა ანტიმარქსისტული ხასიათი. ბუხარინის პოზიცია, აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს უარყოფის პოზიცია არისო.

განაზოგადებს და შემდგომ ავითარებს რა ლენინურ იდეებს სახელმწიფოს შესახებ, ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს „აფეთქების", „გაუქმების" თეორია არის ანარქისტული თეორია, რომელსაც საერთო არა აქვს რა მარქსისტულ თეორიასთან. ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებული ძალით მიუთითა, რომ მუშათა კლასი ვერ გაძლებს თავისი საკუთარი სახელმწიფოს უქონლად, თუ მას ნამდვილად სურს ბურჟუაზიის დათრგუნვა და სოციალიზმის შენება. აკრიტიკებდა რა საერთოდ სახელმწიფოს „აფეთქების", „გაუქმების" ანარქისტულ თეორიას, ამხანაგმა სტალინმა მას დაუპირდაპირა ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ ახალი სახელმწიფოს, სახელდობრ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს შექმნისა და გამოყენების თეორია. ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ სახელმწიფოს „აფეთქებისა" და „გაუქმების" ანარქისტული თეორია და პროლეტარული სახელმწიფოს „კვდომის", ანუ ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი მანქანის „დამსხვრევის", „დამტვრევის" მარქსისტული თეორია" (გვ. 73).

პროლეტარული სახელმწიფოს შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრებით მუდამ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია, რომელმაც შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო და ძალებს არ ზოგავს მისი ყოველმხრივი განმტკიცებისათვის. პარტიის XVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ „პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერებას, რომელიც ყველაზე მძლავრი და ყველაზე ძლიერი ხელისუფლებაა დღემდე არსებულ ყველა სახელმწიფო ხელისუფლებათაგან" (გვ. 369).

საბჭოთა სახელმწიფო მუშათა კლასის ხელში მძლავრი იარაღია სოციალიზმის ასაშენებლად.

განავითარა რა ლენინის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში მისი როლის შესახებ, სტალინი გახდა სოციალიზმის მშენებლობის მეცნიერულად დამუშავებული სახელმწიფო გეგმების შემქმნელი. 1929 წლის დამდეგს მიღებულ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველ ხუთწლიან გეგმას ჩვენმა ხალხმა უწოდა მისი შემქმნელის სახელი — სტალინური ხუთწლიანი გეგმა. სოციალისტური მშენებლობის სახელმწიფო გეგმების შემუშავების თვით ფაქტი წინათ არნახული მოვლენაა სახელმწიფოთა განვითარების ისტორიაში. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მოძღვრების საფუძველზე აგებული ეს გეგმები დიდ განძს წარმოადგენენ სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში. ისინი ცხადყოფენ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სიცოცხლისუნარიანობასა და დიად გარდამქმნელ როლს.

ამხანაგ სტალინის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი განვითარების შესახებ ლენინის იდეაზე დაყრდნობით მან ყოველმხრივ შეიმუშავა სახალხო მეურნეობის სოციალისტური დაგეგმვის თეორია, დაასაბუთა სოციალისტურ სახელმწიფოში სახალხო-სამეურნეო გეგმების მეცნიერული შედგენის სახელმძღვანელო პრინციპები. ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ტროცკისტ ბუხარინელ გამცემთა მტრული შეხედულებანი, მათი „ქრობადი მრუდის" ყბადაღებული თეორია.

ჩვენი გეგმები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — მილიონობით იმ მშრომელთა ცოცხალი პრაქტიკული საქმიანობაა, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან.

მაგრამ გეგმიანი მუშაობა გეგმის შედგენით როდი მთავრდება. „გეგმის შედგენა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მხოლოდ **დაგეგმვის დასაწყისია**. ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა ვითარდება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, გეგმის ადგილობრივ შემოწმების შემდეგ, მისი განხორციელების, შესწორებისა და დაზუსტების მსვლელობაში" (გვ. 347).

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეთა, როგორც ზრდის სიძნელეთა, აღმავლობის სიძნელეთა, წინსვლის სიძნელეთა განსაკუთრებული ხასიათი. ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი მიღწევები მოიპოვება არა თვითდინების წესით, რომ ისინი მოიპოვება მტკიცე ბრძოლით სიძნელეებთან. ჩვენი სიძნელეები შეიცავენ ყველა შესაძლებლობას მათ დასაძლევად.

პარტიის XVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა უფრო განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია ეროვნული საკითხის შესახებ და მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ეროვნული კულტურის კლასიკური განსაზღვრა.

შინაარსით ბურჟუაზიულ და ფორმით ნაციონალურ კულტურას ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირობებში მიზნად აქვს დასახული ნაციონალიზმის შხამით მოწამლოს მასები და განამტკიცოს ბურჟუაზიის ბატონობა. სულ სხვა მიზნებს ისახავს შინაარსით **სოციალისტური** და ფორმით ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. იგი მასებს ზრდის სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

„...სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არის შინაარსით **სოციალისტური** და ფორმით ნაციონალური ეროვნული კულტურების **აყვავების** პერიოდი, ვინაიდან თვით ერები საბჭოთა წყობილების დროს არიან არა ჩვეულებრივი „თანამედროვე" ერები, არამედ, **სოციალისტური** ერები, ისევე როგორც მათი ეროვნული კულტურები შინაარსით არის არა ჩვეულებრივი, ბურჟუაზიული კულტურები, არამედ **სოციალისტური კულტურები**" (გვ. 368).

თანმიმდევრულად ახორციელებდა რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, ჩვენმა პარტიამ შექმნა მსოფლიოში ყველაზე მტკიცე მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ეყრდნობა თანასწორუფლებიან ხალხთა ურღვევ მეგობრობას, და მთელი საბჭოთა ხალხი აღზარდა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. განაზოგადა რა საბჭოთა კავშირის გიგანტური გამოცდილება, ამხანაგმა სტალინმა შექმნა მთლიანი და დასრულებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, გაამდიდრა იგი ახალი უმნიშვნელოვანესი დასკვნით იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს შენარჩუნება საჭიროა კომუნიზმის დროს, თუ კი კვლავ იარსებებს კაპიტალისტური გარემოცვა.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სახელმწიფოს შესახებ, კლასობრივი ბრძოლის შესახებ, სოციალიზმის მშენებლობის გზებისა და მეთოდების შესახებ ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ეს მოძღვრება გახდა საბრძოლო დროშა, მათი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი სოციალიზმისათვის ბრძოლაში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, ხელმძღვანელობენ რა ლენინ-სტალინის მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით, წარმატებით უყრიან საფუძველს სოციალიზმს, განამტკიცებენ სახალხო დემოკრატიის რეჟიმს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს ასრულებს.

## IV

ისტორიულ მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში იმპერიალიზმის განვითარების კანონზომიერება. ორი სისტემის განვითარების დახასიათება, რომელიც მან მოგვცა, საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების გზების მარქსისტული ანალიზის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ 1929 წლის დამლევს დაწყებული მსოფლიო ეკონომიურ კრიზისამდე კარგა ხნით ადრე ამხანაგმა სტალინმა განჭვრიტა მისი დაწყება. მაშინ როცა კაპიტალიზმის მომღერლები მონურად ქედს იხრიდნენ დოლარის წინაშე და ყოველნაირად ქებას ასხამდნენ ამერიკის შეერთებული შტატების „აყვავებას", გაჰყვიროდნენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის ურღვევ სიმტკიცეზე, მაშინ როცა მემარჯვენე ოპორტუნისტები აცხადებდნენ ცრუმარქსისტულ ბურჟუაზიულ თეორიას „ორგანიზებული კაპიტალიზმის შესახებ", ამხანაგმა სტალინმა გენიალურად იწინასწარმეტყველა უმძაფრესი ეკონომიური კრიზისის გარდუვალი დადგომა.

გამოვიდა სწორედ ისე, როგორც ამხანაგმა სტალინმა განჭვრიტა. მართლაც, კაპიტალიზმის ქვეყნებში დაიწყო და თანდათან ღრმავდებოდა უმაგალითო გამანადგურებელი ძალის მსოფლიო ეკონომიური კრიზისი.

იმპერიალიზმის ლენინური თეორიის საფუძველზე და მისი შემდგომი განვითარებით ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს უღრმეს წინააღმდეგობებს, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტურ სამყაროს, გვიჩვენებს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის არსს.

ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს კაპიტალიზმის საერთო კრიზისი:

„ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ იმპერიალისტურმა ომმა და მისმა შედეგებმა გააძლიერეს კაპიტალიზმის ლპობა და დაარღვიეს მისი წონასწორობა, რომ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ომებისა და რევოლუციების ეპოქაში, რომ კაპიტალიზმი აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის **ერთადერთ** და **ყოვლისმომცველ** სისტემას, რომ მეურნეობის **კაპიტალისტური** სისტემის გვერდით არსებობს **სოციალისტური** სისტემა, რომელიც იზრდება, რომელიც ვითარდება, რომელიც უპირისპირდება კაპიტალისტურ სისტემას და რომელიც თავისი არსებობის ფაქტით ცხადყოფს კაპიტალიზმის სიდამპლეს, არყევს მის საფუძვლებს" (გვ. 246).

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის საფუძველზე დაწყებული მსოფლიო ეკონომიური კრიზისის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენდა მსოფლიო კაპიტალიზმის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობის უმაგალითო გამწვავება. ამხანაგმა სტალინმა განმარტა, რომ დგება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის აღსასრული, რომ ახალი ძალით ძლიერდება მასების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მთელ რიგ ქვეყნებში გადაიზრდება პოლიტიკურ კრიზისში.

ამხანაგი სტალინი წინასწარ ხედავდა, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა მოვლენები. იგი ამბობდა, რომ ბურჟუაზია ეკონომიური კრიზისიდან გამოსავლის ძებნაში გააძლიერებს შეტევას მუშათა კლასზე, დაადგება საშინაო პოლიტიკის დარგში ფაშიზაციის გზას, თავის მიზნებისათვის გამოიყენებს ყველა რეაქციულ ძალას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიასაც. ბურჟუაზია გამოსავლის ძებნას დაიწყებს ახალ იმპერიალისტურ ომში სუსტად დაცული ქვეყნების ინტერესთა ხარჯზე კოლონიებისა და გავლენის სფეროების ხელახალი განაწილებისათვის.

საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებმა სავსებით დაადასტურეს სტალინური პროგნოზი. ყველაზე აგრესიული ქვეყნების ბურჟუაზიამ ხელისუფლების სათავეში ჩააყენა ფაშისტი ავაზაკები, გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი. მაგრამ მან ვერ გადაწყვიტა და არ შეეძლო გადაეწყვიტა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი.

ახლა ჩვენ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გამწვავების მოწმენი ვართ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმის სისტემას ჩამოშორდნენ მთელი რიგი ქვეყნები. სოციალიზმის ბანაკი შეუდარებლად გაძლიერდა, იმპერიალიზმის ბანაკი კი დღითიდღე სუსტდება. დემოკრატიული ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძალები კიდევ უფრო გაიზარდნენ ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შედეგად.

თუ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში შეიმჩნეულია სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, კაპიტალის ქვეყნებში სულ უფრო აშკარად ჩნდება გარდუვალად მოახლოებული ახალი ეკონომიური კრიზისის მრისხანე ნიშნები. ასპარეზზე კვლავ გამოდიან ბურჟუაზიული გრძნეულნი კრიზისის „თავიდან აცილებისა" და მოსპობის თავიანთი გეგმებით. მათ სავსებით შეეხება ამხანაგ სტალინის სიტყვები, რომელმაც XVI ყრილობაზე დასცინა კაპიტალიზმის ასეთ მხნელთა უბადრუკ ჯახირს. „ეს ვაჟბატონები ივიწყებენ, რომ კრიზისები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შემთხვევითი მოვლენა კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში. ეს ვაჟბატონები ივიწყებენ, რომ ეკონომიური კრიზისები კაპიტალიზმის აუცილებელ შედეგს წარმოადგენენ" (გვ. 242-243).

პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მოგვცა მეურნეობის სოციალისტური სისტემის კლასიკური განსაზღვრა და ცხადყო მისი უპირატესობანი კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ეს უპირატესობანი უზრუნველყოფდნენ განუხრელ ეკონომიურ აღმავლობას საბჭოთა კავშირში:

ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„უკანასკნელი წლები იყო მეურნეობის ორი მოპირდაპირე სისტემის, საბჭოთა და კაპიტალისტური სისტემის პრაქტიკული შემოწმების პერიოდი, გამოცდის პერიოდი. ამ წლების განმავლობაში საბჭოთა სისტემის „დაღუპვის" და „კრახის" შესახებ ბევრი წინასწარმეტყველება გვსმენია. უფრო მეტი იყო ლაპარაკი და ქება-დიდება კაპიტალიზმის „აყვავების" შესახებ. მერე რას ვხედავთ? ამ წლებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვეს, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა **უმწეო** სისტემაა, ხოლო მეურნეობის საბჭოთა სისტემას აქვს ისეთი **უპირატესობანი**, რომლებზედაც ოცნებასაც ვერ გაბედავს ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, თუნდაც იგი იყოს ყველაზე „დემოკრატიული", „საერთო-სახალხური" და სხვ." (გვ. 323-324).

მეურნეობის საბჭოთა სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობანი, მისი უძლეველი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა შემოწმებულ იქნა მკაცრი გამოცდით. ჩვენმა მეურნეობის საბჭოთა სისტემამ, ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ღირსეულად ჩააბარეს სიმტკიცისა და ძლიერების გამოცდა დიდი სამამულო ომის წლებში. თვით ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება უფრო სიცოცხლისუნარიანი და მტკიცეა, ვიდრე ყოველი არასაბჭოთა წყობილება.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებებში, რომლებიც შესულია თხზულებათა მეთორმეტე ტომში, ღრმად არის დასაბუთებული საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, როგორც მშვიდობისათვის თანმიმდევრული ბრძოლის პოლიტიკა. ამხილებდა რა იმპერიალისტთა ავანტიურისტულ გეგმებს, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის ხარჯზე გადაეწყვიტათ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ საჭიროა ვიდგეთ მშვიდობის საქმის სადარაჯოზე, განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვა, მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ სსრ კავშირზე პროვოკაციულ თავდასხმათა ორგანიზატორებს.

„ჩვენი პოლიტიკა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — არის მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა... ამ პოლიტიკას ჩვენ განვაგრძობთ მომავალშიც მთელი ჩვენი ძალღონით და ყველა საშუალებით" (გვ. 260, 261).

სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ უდიდესი გამარჯვებანი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები საბჭოთა კავშირში ხედავენ მშვიდობის დამცველს, ყველა იმ ხალხის ინტერესების უანგარო დამცველს, რომლებიც ირაზმებიან ხალხთა შორის მშვიდობისათვის საბრძოლველად, ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას მძლავრ დემოკრატიულ ბანაკს.

პარტიის XVI ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობის გამწვავების შედეგად ხდება მუშათა მასების მობრუნება კომუნიზმისაკენ.

„... მუშათა მასები კომპარტიაში ხედავენ ერთადერთ პარტიას, რომელსაც შეუძლია ბრძოლა კაპიტალიზმთან, ერთადერთ პარტიას, რომელიც ღირსია მუშათა ნდობის, ერთადერთ პარტიას, რომელსაც შეიძლება და ღირს კიდეც გაჰყვე ბრძოლაში კაპიტალიზმისაგან გასათავისუფლებლად. ეს არის მასების მობრუნება კომუნიზმისაკენ. ეს არის ჩვენი მოძმე კომპარტიების მუშათა კლასის დიდ მასობრივ პარტიებად გადაქცევის საწინდარი. ოღონდ აუცილებელია, რომ კომუნისტებმა შეძლონ მდგომარეობის შეფასება და სათანადოდ გამოიყენონ იგი. კომპარტიებმა, შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღებით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის აგენტურას მუშათა კლასში, და ლენინიზმისაგან ყველა და ყოველგვარი გადახრის გაცამტვერებით, რომლებიც წყალს უშვებენ სოციალ-დემოკრატიის წისქვილზე, გვიჩვენეს, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან. აუცილებელია მხოლოდ, რომ ისინი საბოლოოდ გამაგრდნენ ამ გზაზე". (გვ. 253-254).

კომუნისტური პარტიები განამტკიცებდნენ თავიანთ რიგებს კაპიტალის სოციალ-დემოკრატი ლაქიების წინააღმდეგ, ტროცკისტ გამცემთა და ავანტიურისტთა წინააღმდეგ, მემარჯვენე კაპიტულანტების წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და სოციალიზმის საქმის ყველა და ყოველგვარ გამცემთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კომუნისტური პარტიების ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის წლებში; კომუნისტები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის საიმედო, გაბედული, თავდადებული მებრძოლები აღმოჩნდნენ. კომუნისტური და მუშათა პარტიები დიდი მასობრივი პარტიები გახდნენ.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში იმპერიალიზმის განვითარების კანონზომიერებათა სტალინური ანალიზი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გზების შესახებ ბრძნული მითითებანი დაადასტურა ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის საერთაშორისო ცხოვრების მოვლენათა მთელმა მსვლელობამ. კომუნიზმის ძალები განუზომლად გაიზარდნენ და დღითიდღე იზრდებიან.

* * *

ი. ბ. სტალინის თხზულებათა თვითეული ტომის გამოსვლა შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის იდეურ ცხოვრებაში. სტალინის ნაწარმოებნი, რომლებიც შემოქმედებითად განავითარებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, — მძლავრ იდეურ იარაღს წარმოადგენენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებთა შესწავლით მილიონობით საბჭოთა ადამიანი იმსჭვალება სიამაყის გრძნობით თავისი მშობლიური პარტიისათვის, რომელმაც მშრომელთ შთააგონა ლენინ-სტალინის დიადი საქმის უძლეველობის რწმენა და დარაზმა ისინი სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის. სწავლობენ რა სტალინის ნაწარმოებთ, საბჭოთა კავშირის მეგობრები საზღვარგარეთ, სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლნი მათში პოულობენ ახალ ძალებს, სწავლობენ საბჭოთა ხალხის დიად მაგალითზე.

ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელია. მის გენიალურ ნაწარმოებთა მიხედვით მშრომელები სწავლობენ სტალინურად ცხოვრებასა და ბრძოლას. ამხანაგ სტალინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმისათვის სამსახურის აღმაფრთოვანებელი მაგალითია.

თვითეული საბჭოთა ადამიანი უდიდესი აღფრთოვანებით წაიკითხავს სტალინის შთამაგონებელ სიტყვებს, რომლებიც დაწერილია ოცი წლის წინათ — 1929 წლის დეკემბერში.

„შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, ამხანაგებო, რომ მე მზად ვარ მომავალშიც მუშათა კლასის საქმეს, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმეს მოვახმარო მთელი ჩემი ძალები, მთელი ჩემი უნარი და, თუ საჭირო იქნება, მთელი ჩემი სისხლი, წვეთწვეთად" (გვ. 140).

სტალინის ეს სიტყვები ღრმად ჩასწვდა მილიონობით ადამიანის შეგნებასა და გულს.

სტალინის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის გენია მთელ კაცობრიობას უნათებს კაპიტალისტური მონობისაგან სრული განთავისუფლების გზას, კომუნიზმის სრული გამარჯვების გზას.

ლ. ილიჩევი
„პრავდა".

## პოლონეთში აღნიშნავენ დიდი პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის გარდაცვალების ასი წლისთავს

**ვარშავა**, 17 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დარბაზ „რომაში" მოეწყო საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომაზე მოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ იუზეფ ცირანკევიჩის მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრები დიპლომატიური კორპუსის დუაიენის, პოლონეთში სსრ კავშირის ელჩის ვ. ზ. ლებედევის მეთაურობით. საზეიმო სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ფრედერიკ შოპენის სახელობის პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრები, კონკურსის მონაწილეები და პოლონეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომა გაიხსნა შოპენის ბ-მოლ სონატით, რომელიც შეასრულა პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ ჯევეცკიმ.

შემდეგ ყველა დამსწრემ დიდი პოლონელი კომპოზიტორის ხსოვნას პატივი სცა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა შოპენის წლის საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა.

ცირანკევიჩმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა შოპენის შემოქმედების მნიშვნელობა პოლონეთის კულტურისათვის, მისი მუსიკის ხალხური ხასიათი და შოპენის მუსიკის უდიდესი პოპულარობა მთელ მსოფლიოში.

ცირანკევიჩის სიტყვის შემდეგ გამოვიდა შოპენის სახელობის პიანისტთა პირველ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული, მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ლევ ობორინი.

საბჭოთა კავშირში, — თქვა პროფესორმა ობორინმა, — უყვართ და პატივს სცემენ დიდ პოლონელ კომპოზიტორს. შოპენის მუსიკა გაისმის კონცერტებზე, მას სწავლობენ კონსერვატორიებში, ხოლო ამ დღეებში მთელ საბჭოთა ქვეყანაში აღნიშნავენ კომპოზიტორის გარდაცვალების 100 წლისთავს.

შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა და კულტურისა და ხელოვნების მინისტრმა სტეფანე დიბოვსკიმ პრემიები და ჯილდოები გადასცეს შოპენის სახელობის პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულთ.

ჯილდოების გადაცემის შემდეგ მოეწყო შოპენის სახელობის პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი.

## მასობრივი მიტინგი შანხაიში საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად

**შანხაი**, 17 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ შანხაიში შედგა მასობრივი მიტინგი, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების შანხაის კომიტეტმა. მიტინგს დაესწრო ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების 10 ათასზე მეტი წარმომადგენელი. სტუმრებს შორის არის მთელი შემადგენლობა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციისა, რომელიც შანხაიში ჩამოვიდა. ტრიბუნა მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ალმებით, ლენინის, სტალინის, მაო ძე-დუნის და სუნ იატ-სენის პორტრეტებით. მიტინგი მოკლე მისასალმებელი სიტყვით გახსნა ქალაქ შანხაის მერის მოადგილემ პანხან-ნიანმა.

საბჭოთა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვეს კ. სიმონოვმა და რსფსრ განათლების მინისტრის მოადგილემ დუბროვინამ.

სიმონოვისა და დუბროვინას სიტყვა ბევრჯერ შეაწყვეტინეს ძლიერი, ხანგრძლივი ტაშით, შეძახილებით, „ვაშა!", „გაუმარჯოს სტალინს!", „გაუმარჯოს მაო ძე-დუნს!", „გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „გაუმარჯოს ორი დიდი ხალხის დიად მეგობრობას!",

მიტინგის შემდეგ საბჭოთა არტისტებმა გამართეს კონცერტი, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა.

## ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის წარმატებანი

**პრაღა**, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ (კვების მრეწველობის ჩაუთვლელად) 101,5 პროცენტით შეასრულა სექტემბრის გეგმა. 1949 წლის სამი კვარტალის გეგმა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ 101,8 პროცენტით შეასრულა.

სამთამადნო მრეწველობამ 9 თვის გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა, ენერგეტიკულმა — 101,5 პროცენტით, მეტალურგიულმა—101,6 პროცენტით და სხვ. დიდი წარმატებანი მოიპოვეს საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, რომლებმაც 9 თვის გეგმა 106,3 პროცენტით შეასრულეს.

ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ეს ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან კავშირსა და მჭიდრო მეგობრულ ეკონომიურ თანამშრომლობაზე დაყრდნობით. ამ უკანასკნელ თვეებში ჩეხოსლოვაკიაში უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება შრომითი შეჯიბრება, ძლიერდება დამკვრელთა მოძრაობა. მორავსკა ოსტრავიდან, ბრნოდან, კლადნოდან და ჩეხოსლოვაკიის სხვა სამრეწველო ცენტრებიდან კვლავ მოდის ცნობები, რომ საწარმოთა კოლექტივები ვადამდე ასრულებენ 1949 წლის გეგმებს.

## მოსავლიანობის გადიდება უნგრეთში

**ბუდაპეშტი**, 16 ოქტომბერი. (საკდესი). იუწყებიან, რომ წელს უნგრეთში ხორბლის საშუალო მოსავალმა 32 პროცენტით გადააჭარბა შარშანდელ მოსავალს.

უნგრეთის მშრომელმა გლეხობამ ასეთი დიდი შედეგი მოიპოვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ყოველმხრივი დახმარების მეოხებით. 1947-1948 სამეურნეო წელს უნგრეთის გლეხებმა 28 ათასი ტონა სუპერფოსფატი და კალიუმიანი სასუქი მიიღეს, ხოლო მიმდინარე სამეურნეო წელს — 115 ათასი ტონა.

